მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის მოთხოვნები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტი წერს სამოტივაციო წერილს.
- სამოტივაციო წერილი - მაქსიმალური ქულა 100. დადებითად შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.
- სამოტივაციო წერილი შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ❖ რატომ გსურთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, თქვენი მიზნები;
  - ❖ რატომ აირჩიეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ❖ რის მიღწევა გსურთ 3-5 წლის განმავლობაში;
  - ❖ როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას დარგში;
  - ❖ არჩეულ სფეროში აღწერეთ ერთი პრობლემა და მისი გადაჭრისთვის წარმოადგინეთ თქვენეული გადაწყვეტილება
- სამოტივაციო წერილის შეფასების კრიტერიუმები:

თითოეული კრიტერიუმის ფარგლებში, მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა. შეფასებები ჩაიშლება სამოტივაციო წერილის შესრულების ხარისხის მიხედვით. კერძოდ:

1. **მოტივაცია – 50 ქულა**

კრიტერიუმი	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**	**ძალიან დაბალი**
აპლიკანტის მოტივაცია მკაფიოა და შეესაბამება პროგრამის მიზნებს	10-9	8-7	6-5	4-2	1
აპლიკანტს მკაფიოდ აქვს გააზრებული საგანმანათლებლო მიზნები	10-9	8-7	6-5	4-2	1
კანდიდატი ორიენტირებულია სფეროში (იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალში, რა კარიერული ზრდა და რა ცოდნის მიღება სჭირდება)	10-9	8-7	6-5	4-2	1
აპლიკანტს არგუმენტირებულად აქვს გაანალიზებული და ჩამოყალიბებული, თუ როგორ გამოიყენებს დარგში შეძენილ ცოდნას	10-9	8-7	6-5	4-2	1
სტრუქტურა, ენა და სტილი გამართულია	10-9	8-7	6-5	4-2	1

2. **არჩეულ სფეროში ერთი პრობლემა და მისი გადაწყვეტა - 50 ქულა**

კრიტერიუმი	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**	**ძალიან დაბალი**
პრობლემის მთავარი საკითხის ჩამოყალიბება	10-9	8-7	6-5	4-2	1
საკითხის გადაჭრის ალტერნატივები	10-9	8-7	6-5	4-2	1
საკითხის გადაჭრის ყველაზე ეფექტური მიდგომა	10-9	8-7	6-5	4-2	1
წარმოდგენილი სტრატეგიის (საკითხის გადაჭრის) არგუმენტირება	10-9	8-7	6-5	4-2	1
სტრუქტურა, გამართული ენა და სტილი	10-9	8-7	6-5	4-2	1